ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

31 მაისი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 103 (10 022) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას განაგრძობს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა.**

**გუშინ ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი.**

ყრილობის მასალები ვრცლად ქვეყნდება ცენტრალურ და რესპუბლიკურ პრესაში.



## ვასილ დავიდენკო აქტიურობს

**ლენინგრადი.** მრავალდღიანი ველორბოლა — „ბალტიის ზღვის ქვეყნების მეგობრობა" დიდი პოპულარობით სარგებლობს ამ რეგიონის ველოსიპედისტთა შორის. მთავარ ფავორიტებად ითვლებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები, მათ შორის ახალგაზრდა თბილისელი ოსტატი, 19 წლის ვასილ დავიდენკო, რომელმაც ამას წინათ წარმატებით იასპარეზა ყირიმის გზებზე გამართულ მრავალდღიან ველორბოლაში.

ნევისპირა ქალაქში შეჯიბრების მონაწილეები თხუთმეტწრიან რკალურ ტრასაზე ასპარეზობდნენ. გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანმა ა. საიტოვმა— 2:04.52. კიდევ თოთხმეტ ველოსიპედისტს იგივე შედეგი ჰქონდა. სპეციალისტების აზრით ამ ეტაპზე ყველაზე მეტად აქტიურობდნენ ესტონელი ი. კირსიპუუ და თბილისელი ვ. დავიდენკო. დავიდენკომ, ამასთან, ფინიშზე ბრძოლის შესაშური უნარი აჩვენა, რის გამოც იგი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ გდრ-ის წარმომადგენლებს ტ. ბრედოვს და ფ. აუგუსტინს.

პირველი ეტაპის შემდეგ ლიდერთა შორის სწორედ ზემოთჩამოთვლილი ველოსიპედისტები არიან.

## გამონაკლისმა გაამართლა

**მოსკოვში** გაიმართა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება სატრეკო ველოსპორტში 1971-1972 წლებში დაბადებულ სპორტსმენებს შორის. ამ შეჯიბრებაზე, გამონაკლისის სახით, როგორც პერსპექტიული ველოსიპედისტი, დაუშვეს 16 წლის თბილისელი მირიან დოლიძე (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, მწვრთნელი ვალერი პეტრინი), რომელმაც კარგად იასპარეზა და ყოველმხრივ გაამართლა იმედები.

200 მეტრზე გიტში მან 10,9 აჩვენა და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა. სპრინტერთა შეჯიბრებაში კი მეოთხე ადგილი დაიკავა ედუარდ გრიუნერის (მოსკოვი), ალექსი ზინოევისა (ტულა) და ვიაჩესლავ დოლგინოვის (ლენინგრადი) შემდეგ. აღსანიშნავია, რომ სამივე პრიზიორი 1971 წელს არის დაბადებული, მირიან დოლიძე კი 1973-წლიანი გახლავთ.

## ახლა — ცირა მერეკლიშვილი

**ერთი** საერთაშორისო დიდოსტატი, ერთი საერთაშორისო ოსტატი, შვიდი სპორტის ოსტატი და ხუთი ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა რიგაში გამართულ საბჭოთა არმიისა და სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირად პირველობაში ქალთა შორის.

**დიდ წარმატებას მიაღწია საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ჭადრაკის განყოფილების II კურსის სტუდენტმა ცირა მერეკლიშვილმა (მწვრთნელი — ჰენრიხ არნშტეინი). მან 9 ქულა მოაგროვა 13 შესაძლებლიდან, ვერცხლის მედალს დაეუფლა და ნახევარი ქულით გადააჭარბა სპორტის ოსტატის ნორმას.** ტურნირში გაიმარჯვა საერთაშორისო დიდოსტატმა ლიუდმილა ზაიცევამ (მოსკოვი) — 9,5 ქულა.

**გ. თხინვალელი.**

●◆●◆●

მძლეოსნებთან საუბრისას შევიტყვეთ, ეს ტურნირი იყო ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი IV საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის. გუნდს შეჯიბრებისთვის ამზადებდნენ დავით დავითაია, ჯემალ მეგრელიშვილი და ვიტალი ზამთარაძე.

**დურმიშხან ხარშილაძე.**

## ყოველი მეორე — საპატიო კვარცხლბეკზე

**მოსკოვში** ახლახანს დამთავრდა საკავშირო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, რომელიც მიეძღვნა წარსულში სახელგანთქმული მოჭიდავის ვ. ლუპაიკოვის ხსოვნას. საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობდა ათი მოჭიდავე, მათგან თავი გამოიჩინეს და ტურნირის ჩემპიონები გახდნენ მშვენიერაძე (82 კგ) და აბრამიშვილი (90 კგ). მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდა ნიქაბაძე (48 კგ), ხოლო მულაძესა (57 კგ) და ლვალაძეს (62 კგ) ბრინჯაოს მედლები გადაეცათ. როგორც გუნდის ხელ-





სურათებზე: ნატო ლეშკაშელი (მარცხნივ) და ელისო ბედოშვილი — მხატვრულ ტანვარჯიშში საქართველოს ჩემპიონები. (იხ. მე-4 გვ.).

## გიწვევთ კურორტები, ტურისტული ბაზები, კემპინგები...

**საქართველოს** თვალწარმტაცი მთა და ველი, ზღვის სანაპირო, ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის მეტყველი ძეგლები — ყველაფერმა, რაც ანდამატივით იზიდავს ტურისტებს დედამიწის ყველა კუთხიდან, ჩვენს რესპუბლიკას კარგა ხანია ღირსეული ადგილი მიუჩინა მსოფლიოს მოწინავე ტურისტული ქვეყნების გვერდით.

ახალი ტურისტული სეზონი ძალას იკრებს. კვლავ იწყება სისხლსავსე ცხოვრება ჩვენს კურორტებზე, კვლავ ხმაურობს ტურისტული ბილიკები,

**გუშინ** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა საქართველოში ახალი საკურორტო და ტურისტული სეზონისთვის მზადყოფნის საკითხს. თათბირზე დაისახა მომსახურების ამაღლების გზები, ითქვა, რომ ამ სფეროში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გამაჯანსაღებელ მუშაობას, ფართოდ უნდა დაინერგოს ფიზკულტურა და სპორტი, ტურიზმი.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ო. ქვილითაიამ.

## ერთადერთი მედალი

**საქართველოს** 10 მძლეოსანი მონაწილეობდა გაზეთ „პრავდის" პრიზზე გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც სოჭის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა. ასპარეზობის ფორმულა ისეთი იყო, რომ წინასწარი ეტაპის შემდეგ მონაწილე გუნდების შემადგენლობაში მოხვდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის საუკეთესო სპორტსმენები (თითო სპორტსმენი თითო სახეობაში) და ტურნირი სათასო პრინციპით გაიმართა.



ტარიელ ბიწაძე.

ჩვენი მძლეოსნებიდან ყველაზე საუკეთესო შედეგს მიაღწია სოხუმელმა ბირთვის მკვრელმა ტარიელ ბიწაძემ (მწვრთნელი თამაზ ჭედია). მე-5 ცდაზე 20,40 მეტრი აჩვენა და მესამე ადგილი დაიკავა — სულ 7 სმ-ით ჩამორჩა შეჯიბრების ვერცხლის პრიზიორს.

წერილს ამ ტურნირის შესახებ გაზეთ „ლელოს" უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

## ფინალი — 2 ივნისს

**დასასრულს** უახლოვდება უკვე პოპულარული ასპარეზობა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. ეს შეჯიბრება, როგორც ცნობილია, ტარდება რესპუბლიკის ქალაქების უბნებსა და სოფლების გუნდებს შორის. უკან დარჩა მრავალი საინტერესო შეხვედრა და ახლა მხოლოდ უძლიერესთა პაექრობა გამოავლენს პრიზის მფლობელს.

ფინალური ასპარეზობა დანიშნულია პარასკევს, 2 ივნისს, 18 საათზე თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (კიროვის პარკი).



**ერთმანეთს ჩვდებიან საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულისა და გორის რაიონის სოფელ ქორდის ფალავნები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ოქრო აჭარის ლაჟვარდში"

**აჭარაში ბევრი მომხიბვლელი ადგილია, მაგრამ ბუნებას თავისი მადლიანი კალთა ციხისძირისათვის განსაკუთრებით დაუბერტყავს, რითაც მან საკავშირო კურორტის სახელი დაიმკვიდრა. ფაქტიურად ციხისძირი ქობულეთის რაიონის ერთი დიდი სოფელია, სადაც გამრჯე, შრომისმოყვარე ადამიანები სახლობენ. მათ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან დასასვენებლად ჩამოსულ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ, აქ ხომ მრავლადაა ჯანმრთელობის კერები — სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, ტურბაზა...**

**ციხისძირის** ტურისტული ბაზა წმინდა ფიზკულტურულ-სპორტული პროფილისაა. ტურისტული ბაზიდან მკაფიოდ მოჩანს მაღლობზე წამოზიდული ზღაპრული პეტრას ციხე, უფრო შორს უკიდეგანო ზღვა ლურჯად ლივლივებს, მეორე მხარეს კი სიმწვანით მოსილი მთები აღმართულან. თავად კურორტიც მთლიანად მწვანეშია ჩაფლული და ირგვლივ გაზაფხულის მათრობელა სურნელი ტრიალებს.



—ბუნების აჲეთი სიმშვენიერე,— ამბობს ტურბაზის დირექტორი გურამ შაქარიშვილი. —ცხადია, ტურისტთა დიდძალ ნაკადს იზიდავს, მაგრამ ჩვენი ტურბაზა მხოლოდ 280-ადგილიანია.

წელს ციხისძირის ტურბაზა არსებობის 30 წლისთავს აღნიშნავს. ამ ხნის მანძილზე აქ 400 ათასამდე ადამიანმა დაისვენა და გაიკაჟა ჯანმრთელობა.

— ჩვენს ტურბაზაში, ძირითადი 42-ე მარშრუტია, რომელიც ორჯონიკიძეში იწყება და ჩვენთან თავდება — ამბობს უფროსი ინსტრუქტორი მიხეილ უგულავა, იგი 22 წელიწადია აქ მუშაობს. ეს მარშრუტი მონაკვეთის საკმაო ნაწილის ფეხით დაძლევასაც ითვალისწინებს, რაც მის მონაწილეებს საშუალებას აძლევს ტურიზმში დადგენილი სათანრიგო ნორმატივები შეასრულონ. გვყავს აგრეთვე 20-დღიანი ჯგუფები... მათთვის ვაწყობთ სხვადასხვა სახის კულტურულ-ფიზკულტურულ ღონისძიებებს, განრიგი კი იწყება დილის გამამხნევებელი ვარჯიშით, რომელიც 30 წუთს გრძელდება. ფრენბურთის მოედანზე ხომ მუდამ ხალხმრავლობაა. მცირე სპორტულ დარბაზში მაგიდის ჩოგბურთელები ასპარეზობენ, ტურკაბინეტში კი ყოველდღე თამაშობენ შაშას და ჭადრაკს. დაგეგმილი გვაქვს აგრეთვე 5 ექსკურსია, ფართო კულტურულ-გასართობი პროგრამა.

უფროსი ინსტრუქტორის ნათქვამს ადასტურებენ ტურკაბინეტში გამოკრული ფოტოსტენდები, რომლებიც ნათლად ასახავენ დამსვენებელთა სისხლსავსე ფიზკულტურულ-სპორტულ და კულტურულ ცხოვრებას. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სტენდი, სადაც გამოკრულია ტურისტული ლაშქრობის ამსახველი ფოტოსურათები. ტურისტულ ლაშქრობებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი ინსტრუქტორები თემურ დუმბაძე, ანზორ მახარაძე, ლევან ოქროპირიძე...

შთაბეჭდილებათა წიგნი ტურისტული ბაზის საქმიანობის ყველაზე ნათელი სარკეა.

„დაუვიწყარია ლაშქრობა მთა „ცისკარაზე". ეს იყო ლაშქრობა ჯანმრთელობის განსამტკიცებლად, სიმხნევისა და ენერგიის მოსაკრებად"... „მთელი 20 დღის განმავლობაში ჩვენ გარემოსილი ვიყავით მომსახურე პერსონალის ყოველდღიური ზრუნვითა და ადამიანური სითბოთი". — ასე გამოხატავს მადლიერებას ვორონეჟელი ინჟინერი იური კოვალიოვი.



„ფიზიკური კულტურა და სპორტი უფრო სისხლსავსეს და საინტერესოს ხდიდა აქ გატარებულ დღეებს. ყოჩაღ, ციხისძირელებო!" — 42-ე მარშრუტის მე-17 ჯგუფის ტურისტების სახელით ლევკომაროვი.

„კარგი იქნება, თუ ფრენბურთის მოედანზე კალათბურთის ფარები და მცირე ზომის კარებიც დაიდგმება. ამით გამრავალფეროვნდება გამაჯანსაღებელი პროგრამა. სხვა მხრივ ყველაფრით კმაყოფილი ვარ" — სრკ სპორტის ოსტატი კიევიდან სვეტლანა სამოხინა.

„აუცილებლად უნდა გაუმჯობესდეს ხილბოსტნეულით მომარაგება", — გამოთქვამს აზრს ვოლგოგრადელი ნიკოლოზ ბირიუკოვი.

„საცხოვრებელი კორპუსი მოძველდა, საჭიროა"...

— არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვის ეკუთვნის ეს დაუსრულებელი ფრაზა. მთავარია, რომ სამართლიანი შენიშვნაა.

— რა გაქვთ სამომავლოდ გეგმაში? ვეკითხებით ტურბაზის დირექტორს გ. შაქარიშვილს.

— პირველ რიგში კაპიტალურად შევაკეთებთ ძველ კორპუსს. დავაშენებთ მეოთხე სართულს, სადაც მოეწყობა საკონცერტო დარბაზი და ვიდეო ბარი. 1990 წლიდან დავიწყებთ 320 კაცზე გათვალისწინებულ თანამედროვე ხუთსართულიანი კორპუსის მშენებლობას.

...ციხისძირში ნებიერად შრიალებენ ცადაზიდული კვიპაროსები, ბანანები და ტანწერწეტა ნაძვის ხეები...

რა კარგად უთქვამს გალაკტიონს „ოქრო აჭარის ლაჟვარდში". ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ციხისძირისათვის

**ლევან ქავჟარაძე,**
**„ლელოს" საკ. კორ.**
**ციხისძირი.**

---

**ჩვენი ენა, ქართული...**

## რატომ პასიურობენ?

**რ**ოგორც ყველა ქართველს, მეც მაინტერესებს, როდემდე უნდა გაგრძელდეს ისეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ქართული ენის მიმართ, რომელსაც იჩენენ თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული ზოგიერთი სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელები. სავალალოა, მაგრამ ფაქტია: როცა ტელეფონით ვუკავშირდებით სპორტულ ორგანიზაციებს, სკოლებს და ბაზებს, იქიდან ხშირად ქართულად არ გვპასუხობენ. და ეს ხდება იმ დროს, როდესაც აღნიშნულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს ქართველი ადამიანი. საკვირველია ის გარემოებაც, რომ ხშირად ეს ხელმძღვანელები სამუშაოდ იღებენ მდივანს, ბუღალტერს, კადრების ინსპექტორს და ბევრ სხვა ისეთ ტექნიკურ მუშაკს, რომლებიც ქართულ ენას ვერ ფლობენ, ან თუ ფლობენ, რატომღაც არ თვლიან თავს მოვალედ ქართულად დაგელაპარაკონ. მე ვფიქრობ, ასეთი ორგანიზაციის ხელმძღვანელებს მკაცრად უნდა მოეკითხოთ. არის შემთხვევა, ერთი ან ორი სპეციალისტი მოწვეულია სამუშაოდ რესპუბლიკაში და ჯერ ვერ უსწავლია ქართული ენა, მაგრამ, რა მოხდით იმ პირებს, რომლებიც საქართველოში დაიბადნენ, აქ მიიღეს განათლება, ქართული ენის შესწავლაზე კი არც უფიქრიათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს პიროვნებები პატივს არ გვცემენ, არ აინტერესებთ ჩვენი დედაენა, რომელსაც დღეს გარდაქმნის პროცესმა და კონსტიტუციამ სათანადო ყურადღება დაუთმო.

საკვირველია ზოგიერთი სპორტული ორგანიზაციის პარტიული და პროფკავშირული კომიტეტების თავმჯდომარეთა პოზიციაც. თქვენ წარმოიდგინეთ, არის ორგანიზაციები, სადაც პარტორგანიზაციისა და პროფკომიტეტის სხდომაზე და საერთო კრებებზეც კი, უგულებელყოფილია ქართული ენა. რა თქმა უნდა, არც ოქმები იწერება ქართულად. სწორედ ამიტომ, სპორტული ორგანიზაციების უმრავლესობა არაქართული ენით ცხოვრობს და მუშაობს. რუსული ენა რომ საჭიროა, ეს ჩვენ კარგად გვესმის, მაგრამ საქართველოში, უპირველეს ყოვლისა ქართული უნდა ხმიანობდეს. ამის უფლებას გვანიჭებს კონსტიტუცია. თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ზოგიერთი ხელმძღვანელი ამას არაფრად დაგიდევთ, დაკარგული აქვს პატრიოტიზმის გრძნობა. ამიტომ მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო რედაქცია, საჭიროა თქვენი დახმარება, გაზეთს ბევრის გაკეთება შეუძლია ამ საკითხების მოსაგვარებლად.

განა საკამათოა ის, რომ, სადაც სწავლობ, მუშაობ და, რაც მთავარია, ცხოვრობ, იმ ხალხის ენაც უნდა ისწავლო? ამასვე მოვითხოვთ სპორტული ორგანიზაციებისაგან და მათი ხელმძღვანელებისაგან. რატომ პასიურობენ ისინი? სამწუხაროდ, ჯერჯერობით სასიკეთო ძვრებს ვერ ვხედავთ. ვფიქრობ, დადგა დრო ყველას მკაცრად მოვთხოვოთ ქართული ენისადმი, როგორც საქართველოს საერთო, სახელმწიფო ენისადმი პატივისცემა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქმე გამოსწორდება. გარდაქმნა და საჯაროობა ბევრ სიკეთეს გვპირდება და, მოდით, ვისარგებლოდ ამით.

**არჩილ მხეიძე.**
ომისა და შრომის ვეტერანი.
თბილისი.

---

**მსოფლიო სპორტის**
**დიდ ოჯახში**

## ჩვენ რაღას გვეტყვიან?

**„სოვეტსკი სპორტის"** ფურცლებზე ამასწინათ დაიბეჭდა სსრკ სამბოს ფედერაციის პრეზიდიუმის წევრის პ. ისაევის სტატია „ძლიერნი ვართ, როცა ერთად ვართ!" სტატიაში განხილულია ლიტვის ფედერაციის თავმჯდომარის ვიგმანისის მიერ წამოყენებული წინადადება, რომ ლიტვა ცალკე წევრად (ავტონომიურად) შევიდეს სამბოს საერთაშორისო ფედერაციაში (ფიასი).

პრეზიდიუმის მიერ ლიტვის წარმომადგენელს განემარტა, რომ ამ ფედერაციაში ცალკე ტერიტორიულ წევრად აღიარება ხდება სამბოში განსაკუთრებული წვლილის შეტანის საფუძველზე. ამით „მოიგერიეს" ლიტველი სამბისტები.

საკითხავია, საქართველოს რომელიმე სახეობის მოჭიდავეებმა, მოჭადრაკეებმა (ქალებმა მაინც) ან რომელიმე სხვა სპორტის სახეობის წარმომადგენლებმა რომ განუცხადონ შესაბამის საკავშირო ორგანიზაციებს, რაც ლიტვის სამბოს ფედერაციის თავმჯდომარემ თქვა, მაშინაც უარს ეტყვიან, თუ ჩვენი სპორტსმენების წვლილს გაითვალისწინებენ და დააკმაყოფილებენ ასეთ მოთხოვნას? არადა, წვლილი, მართლაც შთამბეჭდავია!

ჩემი აზრით, თუ გარდაქმნა ხდება ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, იგი სპორტსაც უნდა შეეხოს და მოკავშირე რესპუბლიკებს უნდა მიეცეთ საშუალება საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებლად გასვლისა.

**ქ. ჯობავა.**
თბილისი.

---

## ბრიგადებით, ოჯახებით...

**ამას** წინათ დამთავრდა ზონალური შეჯიბრებები ზუგდიდის, ზესტაფონის და ვანის რაიონებში, სადაც რესპუბლიკის 20 რაიონში გამარჯვებული ბრიგადები და საოჯახო გუნდები მონაწილეობდნენ.

ზესტაფონის ზონალურ შეჯიბრებაში, სამრეწველო დაწესებულებების ბრიგადებს შორის, გაიმარჯვა ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის ბრიგადამ, საოჯახო გუნდებს შორის ე. თავბერიძის ოჯახმა.

აგროსამრეწველო კომპლექსის კოლექტივებს შორის I ადგილი დაიკავა ჩოხატაურის რაიონის სოფელ მებნისის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადამ, საოჯახო გუნდებს შორის ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითში მცხოვრებმა ჯ. ბარბაქაძის ოჯახმა.

ვანის რაიონში ჩატარებულ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს სამტრედიის რაიონის წარმომადგენლებმა — კულაშის საქსოვი ფაბრიკის ბრიგადამ (მრეწველობიდან) და ჟ. შენგელიას საოჯახო გუნდმა. აგრომრეწველობის კოლექტივიდან სოფელ ღანირის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადამ და ა. შენგელიას ოჯახმა.

ზუგდიდის რაიონის ზონიდან მომდევნო ეტაპზე გავიდნენ სოფ. ონარიას ჩაის ფაბრიკის ბრიგადა და სოფელ ურთას კოლმეურნეობის წევრის ვ. გაბუზანის ოჯახი, სოფელ რუხის კოლმეურნეობის ბრიგადა და დ. აგახანოვის ოჯახი (ყველა — ზუგდიდის რაიონი).

სამწუხაროდ, ამ ღონისძიებებს თავი აარიდეს წალენჯიხისა და ცაგერის რაიონის წარმომადგენლებმა. ამ ფაქტის შესახებ პროფკავშირების სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭო უახლოეს პრეზიდიუმზე იმსჯელებს.

**იროდი ბეჟაშვილი,**
**პროფკავშირების სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მშრომელთა ფიზიკური აღზრდის სამმართველოს უფროსი.**

---

**საქართველოს ჩემპიონატი მოტოკროსში**

## მეორე ეტაპზე

**გასულ** შაბათ-კვირას რესპუბლიკის დოსააფის რესპუბლიკური სპორტულ-ტექნიკური კლუბის ბაზაზე ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი მოტოკროსში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენები. 125 კბ სმ მოცულობის ძრავიანი მოტოციკლეტებით იუნიორთა შორის პირველი ადგილი დაიკავა სოხუმის სპორტულ-ტექნიკური კლუბის წარმომადგენელმა იგორ ბუკრეევმა, მეორე იყო რესპუბლიკის სპორტულ-ტექნიკური კლუბის წევრი ირაფაიდ ჯაბაროვი, ხოლო მესამე — მისი თანაგუნდელი სტანისლავ ბაბასიევი.



ამავე კლასში, ვაჟთა შორის, პირველობა არავის დაუთმო რსტკ-ს წარმომადგენელმა სერგეი რისუხინმა, მეორე ადგილი დაიკავა რუსთაველმა გიორგი აბელაშვილმა, მესამე — სოხუმელმა ვლადიმერ ჩუვაშოვმა.

საინტერესო იყო შეჯიბრება 250 კბ სმ მოცულობის ძრავიანი მოტოციკლეტებით. აქ ადგილები ასე განაწილდა: 1. ოლეგ კლიმენტიევი (რსტკ); 2. ზურაბ წიგნაძე (თელავი); 3. ნიკოლოზ ბუკორევი (სოხუმი).

ორი ეტაპის ჯამში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის გაიმარჯვა რესპუბლიკის სპორტულ-ტექნიკური კლუბის გუნდმა (639 ქულა). მეორე ადგილზეა რუსთავის ავტოსკოლა (412), მესამეზე — თელავის ავტოსკოლა (407).

**ს. ვართანიანცი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

**ავტორის ფოტო.**

---

**წერილი რედაქციას!**

**შარშან 1989 წლისათვის „ლელო" გამოვუწერე ჩემს ნათესავს, რომელიც სამხედრო სავალდებულო სამსახურს იხდის ლიტვაში. გული მწყდება, რომ სიხარულის ნაცვლად ამით ჯარისკაცს სინანული მოვუტანე. თავად წარმოიდგინეთ — გაზეთს, რომელსაც დავპირდი, არ იღებს. რატომ? გთხოვთ დაგვეხმაროთ.**

**ჟ. ჩალაური.**
**გორი.**

## რატომ გაანბილეთ ჯარისკაცი?

**რედაქცია** ასეთი შინაარსის ბარათებს კვლავ იღებს. ჩვენც იძულებული ვართ ისევ გავიმეოროთ მრავალგზის ნათქვამი და დაწერილი: რედაქცია პასუხს არ აგებს გაზეთის ადრესატამდე მიტანაზე. ისე. ცხადია, გულს გვტკენს ის, რომ მკითხველი გაზეთს ვერ იღებს. ამაში ბრალი მიუძღვით პრესის გავრცელების სააგენტოს მუშაკებს. „სოიუზპეჩატის" ადგილობრივ განყოფილებებში ამომწურავ პასუხს არ აძლევენ ხელმომწერებს და მიუხედავად იმისა, რომ კავშირგაბმულობის თანამშრომლებმა კარგად იციან რედაქციები არაფერ შუაშია, მაინც გაზეთის მუშაკებზე უთითებენ.

როდის დამყარდება წესრიგი?

სსრ კავშირი — ისლანდია ● იტალია-90

# იმედს არავინ კარგავს

**ფეხბურთში** მსოფლიო ჩემპიონატის ევროპის ზონის III ჯგუფში სადღეისოდ თავისებური სიტუაცია შეიქმნა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-1 | 7 |
| თურქეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-6 | 5 |
| ავსტრია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 3 |
| გდრ | 5 | 1 | 1 | 3 | 4-9 | 3 |
| ისლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |

თავისებურება ისაა, რომ ფინალის ორი საგზურიდან ერთის დაუფლების საუკეთესო შესაძლებლობა საბჭოთა ფეხბურთელებს აქვთ, მეორისთვის კი მეტ-ნაკლები პერსპექტივით ყველა დანარჩენი 4 გუნდი იბრძვის. ბოლო, მეხუთე ადგილზე მყოფ ისლანდიელებს ნაკლები ქულა აქვთ დაკარგული (4), ვიდრე მეორე ადგილზე მყოფ თურქებს (5), ეს კი იმას ნიშნავს, რომ მესამე ჯგუფში დღევანდელ და ყოველ მომდევნო მატჩს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გულარხეინად ვერავინ იქნება და იმედიც ჯერჯერობით არავისა აქვს გადაწურული.

ახლა კი გავეცნოთ ისლანდიელთა გუნდის მწვრთნელისა და ძირითადი მოთამაშეების სადარბაზო ბარათებს.

**ზიგფრიდ ჰელდი,** ისლანდიის ნაკრების მწვრთნელი, კარგად ცნობილი დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი. დაიბადა 1942 წელს, გამოდიოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საუკეთესო კლუბებში („ბორუსია“, „კიკერსი“, „ბაიერი“ და სხვ.), გფრ-ის ნაკრებში 41-ჯერ ითამაშა, მონაწილეობდა მსოფლიოს 1966 და 1970 წლების ჩემპიონატებში. ბუნდესლიგაში 422 მატჩი ჩაატარა და 72 გოლი გაიტანა.

1981-83 წლებში სათავეში ედგა გელზენკირხენის „შალკე 04“-ს, შემდეგ „ბფ-08 ლიუტრინგჰაუზენს“, 1986 წლიდან კი ისლანდიის ნაკრებს ხელმძღვანელობს, სადაც გარკვეული წარმატებები მოიპოვა.

**ბიარნი სიგურდსონი** (28 წლის, 26 მატჩი ნაკრებში). გამოცდილი მეკარე, რომელიც ნორვეგიის „ბრანში“ (ქ. ბერგენი) გამოდის. ყურადღება მიიპყრო საიმედო, მშვიდი თამაშით, კარგ კონტაქტსამყარებს მცველებთან.

**ფრიდრიკ ფრიდრიქსონი** (24,14). მეორე მეკარე, თამაშობს „ოდენსეში“ (დანია). აქვს კარგი რეაქცია, ბოლო ხანებში საკმაოდ ხშირად ცვლის სიგურდსონს.

**გუნდი ბერგსონი** (23, 23). რეიკიავიკის „ვალური“, ლიბერო, ითვლება საჯარიმო დარტყმების შესრულების სპეციალისტად.

**გუნარ გისლასონი** (27, 38, 3 გოლი). „მოსი“, განაპირა მცველი, ძლიერია ორთაბრძოლისას, სწრაფია და თავითაც კარგად თამაშობს.

**ათლი ედვალდსონი** (31, 54, 6 გოლი). „ვალური“, ნაკრების კაპიტანი კარგა ხანს გფრ-ში თამაშობდა, სადაც დიდი გამოცდილება მიიღო. თამაშობს ცენტრალურ ან მარცხენა მცველად. ძლიერია ორთაბრძოლისას.

**აგუსტ მარ იონსონი** (30, 49). „კრ რეიკიავიკი“, მარჯვენა მცველი. უყვარს შეტევაში ჩართვა.

**ომარ ტორფასონი** (30, 34 3 გოლი) „ფრამი“. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბოლო სეზონების მანძილზე, გამოდის მცველად და შუა ხაზზეც.

**საევარ იონსონი** (30, 48 1). „ვალური“, ყოფილი თავდამსხმელი, რომელიც ახლა კარგად ასრულებს სტოპერის ფუნქციებს, ხშირად ერთვება შეტევაში.

**ტორვალდურ ორლინგსონი** (22, 7). „კრ რეიკიავიკი“, განაპირა მცველი, გამოირჩევა თამაშის ძალისმიერი მანერით.

**ასგეირ სიგურვინსონი** (33, 46, 5). თამაშობს „შტუტგარტში“, შუა ხაზის წამყვანი ფეხბურთელი. მაღალი კლასის დირიჟორი.

**არნორ გუდიონსენი** (27, 27, 3). თამაშობს „ანდერლეხტში“, მოიერიშე ნახევარმცველი, სწრაფი, ცრუ მოძრაობათა ოსტატი.

**ოლაფურ ტორდარსონი** (23, 27, 1). „აკრანესი“, სწრაფი და ენერგიული ნახევარმცველი.

**რაგნარ მარგეირსონი** (26, 35, 4). „კეფლავიკი“. კარგად ფლობს ბურთს, თამაშობს ტექნიკურად.

**სიგურდურ გრეტასონი** (26, 23, 5). თამაშობს „ლიუცერნში“, ბოლო წლებში ყურადღება მიიპყრო შვეიცარიის ლიგაში, სწრაფი და შედეგიანი თავდამსხმელი.

**გუდმუნდურ ტორფასონი** (27, 16, 3). თამაშობს „რესინგში“ (ქ. გენკი). წარმატებით გამოდის ბელგიის პირველ ლიგაში, შედეგიანი, ტემპიანი ფორვარდი.

**არნიოტურ დავიდსონი** (20, 3), „ფრამი“, ყურადღება მიიპყრო 1988 წელს, ითვლება სახიფათო თავდამსხმელად.

**ბიჭი თორელი.**

## საფეხბურთო კავშირის თასზე

**29 მაისს** გაიმართა სსრკ საფეხბურთო კავშირის თასის VI ტურის შეხვედრები ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

თბილისის დინამოელები მინსკში შეხვდნენ ადგილობრივ თანაკლუბელთა გუნდს, თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 3:0.

თბილისელებმა მინსკში სათადარიგო შემადგენლობით ითამაშეს.

## I ლიგა

**მოგვყავს** I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში საქართველოს გუნდების მიერ 28 მაისს ჩატარებულ შეხვედრათა სტატისტიკური მონაცემები.

ლანჩხუთის „გურიამ“ ლვოვში ფრედ დაამთავრა შეხვედრა ადგილობრივ ასკ „კარპატისთან“ — 1:1, ლანჩხუთელთაგან ბურთი გაიტანა დოზმოროვმა.

ბათუმის დინამოელებმა დონის როსტოვში დაამარცხეს ადგილობრივ არმიელთა გუნდი — 3:2. ბათუმელთაგან ბურთები გაიტანეს მიქაშავიძემ, ქვანიამ და კიკლიაშვილმა.

გააფრთხილეს დინამოელი ფეხბურთელები კიკლიაშვილი და ჯოხაძე.

I ლიგის გუნდებს შორის ყველაზე მეტი დარღვევა აქვთ ლვოვის ასკ „კარპატის“ ფეხბურთელებს: 2 მინდვრიდან გაძევება და 11 გაფრთხილება. იაროსლავლის „შინიკის“ 1 ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევეს და 11 გააფრთხილეს.

## მსოფლიო ჩემპიონატი

**დუბლინში** შედგა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ევროპის ზონის VI ჯგუფის გუნდებს შორის. ირლანდიელებმა მიიღეს მალტის ნაკრები და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0, გოლები გაიტანეს ჰოგთონმა და მორანმა.

**გათამაშების ცხრილი:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 14-1 | 10 |
| ირლანდია | 5 | 2 | 2 | 1 | 3-2 | 6 |
| უნგრეთი | 4 | 1 | 3 | 0 | 4-3 | 5 |
| ჩრ. ირლანდია | 6 | 2 | 1 | 3 | 5-7 | 5 |
| მალტა | 7 | 0 | 2 | 5 | 3-16 | 2 |

## ს. ბერლუსკონის პროექტი

**იტალიის** საფეხბურთო კლუბის „მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ გამოაქვეყნა ევროპის საფეხბურთო ლიგის შექმნის გეგმა, სადაც ვარაუდობს კონტინენტის საუკეთესო კლუბების მონაწილეობას. მათ ოთხწრიან ტურნირში უნდა გაარკვიონ ევროპის საუკეთესო საკლუბო გუნდის ვინაობა.

— ჯერჯერობით ეს მხოლოდ გეგმებია, მაგრამ ამგვარი ლიგა აუცილებლად უნდა შეიქმნას, — თქვა ს. ბერლუსკონიმ.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში ● I ლიგა

# შორსაა „მარათონის“ ფინიში?

**საკავშირო** ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოასპარეზე კალათბურთელ ქალებს ასეთი მომქანცველი მარათონი არასდროს ჰქონიათ. თითოეული გუნდის მიერ მიმოსვლით ჩატარებული 44 მატჩის შემდეგ მხოლოდ იმ პირველი ოთხეულის ბედი გაირკვა, რომლებიც ამჟამად უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძვიან. რაც შეეხება დანარჩენ რვა კოლექტივს, ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ისინი დამატებით ტურნირებში გამოდიან. ერთ-ერთი ასეთი ტურნირი ამას წინათ დამთავრდა თბილისსა და ტარტუში. მასპინძლებს — საქართველოს პოლიტექნიკური



ინსტიტუტისა და ტარტუს უნივერსიტეტის სპორტული კლუბის გუნდებს სატურნირო ცხრილში მეტოქეებზე უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ. ისინი 25-25 მოგებით V-VI ადგილებს იყოფდნენ და საკავშირო ჩემპიონატის პირველ ეშელონში დარჩენის რეალურ შანსს ინარჩუნებდნენ. ასეც მოხდა. თბილისელებმა ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (კიროვის პარკი), როგორც ვიუწყებოდით, პირველი შეხვედრა დაძაბული ბრძოლის შემდეგ მცირე უპირატესობით — 86:84 (41:41) მოუგეს გორკის „შრომითი რეზერვების“ კალათბურთელებს, მეორე მატჩში კი დიდი ანგარიშით — 53:79 (22:36) დამარცხდნენ ერთ-ერთ აუტსაიდერთან — სიმფეროპოლის „სპარტაკთან“. ეს ორთაბრძოლა გახლდათ იმისი ნათელი მაგალითი, რომ ნებისმიერ მეტოქესთან საჭიროა მონდომებით თამაში, სპი-ს კალათბურთელები კი ამ დღეს რატომღაც ზედმეტად თავდაჯერებულნი გამოვიდნენ მოედანზე. ალბათ, იმ იმედით, რომ აუტსაიდერს ადვილად გაუსწორდებოდნენ. აქ დაისაჯნენ კიდეც. სამაგიეროდ, ჩვენმა სპორტსმენებმა ბოლო ორი მატჩი ჩაატარეს სრული მონდომებით. გორკელებთან განმეორებით შეხვედრაში ისინი თავისუფლად მოქმედებდნენ როგორც საკუთარ, ისე მეტოქის მოედანზე, უფრო ხშირად იუფლებოდნენ ფარებიდან ასხლეტილ ბურთს, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ო. კორკოტაძე (მან მთელი ტურნირი მაღალ დონეზე ჩაატარა), რომელმაც 28 ქულა შესძინა თავის გუნდს. თბილისელებმა მატჩი დამაჯერებლად მოიგეს — 85:76 (52:47).

ასპარეზობის ბოლო დღეს ჩვენმა კალათბურთელებმა რევანში აიღეს — სიმფეროპოლის „სპარტაკი“ დაამარცხეს 82:65 (41:27). როგორც ვხედავთ, საბოლოო ანგარიშში სხვაობა სოლიდურია, მაგრამ თამაშის დასაწყისი, ისევე როგორც მათს პირველ შეხვედრაში, ჩვენს გუნდს კარგს არაფერს უქადდა. მეთერთმეტე წუთამდე წინ სტუმრები იყვნენ. სწორედ ამ დროს მოხდა გარდატეხა. გუნდის კაპიტნის ნატო ლორიას (მან ამ მატჩში 28 ქულა მოუტანა კოლექტივს) ზედიზედ ორი შედეგიანი შეტევის შემდეგ საქართველოს კალათბურთელები დაწინაურდნენ. აქედან მოყოლებული მათ ინიციატივა არ დაუთმიათ და მეორე ტაიმის მეხუთე წუთისთვის ანგარიშში სხვაობა 20 ქულამდეც გაზარდეს. თბილისის ტურნირში ეს იყო ჩვენი გუნდის მესამე გამარჯვება. რაც შეეხება დანარჩენ სამ კოლექტივს, გორკელებმა და სიმფეროპოლელებმა 2-2 გამარჯვება იზეიმეს, ხოლო ფრუნზეს „სტროიტელმა“ მხოლოდ ერთი თამაში მოიგო.

**ტარტუს** ტურნირში, სადაც კიდევ ოთხი გუნდი იბრძოდა პირველ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად, მასპინძლებმა და რიგის ტტტ-მ პენზელი და როსტოველი კალათბურთელები დაამარცხეს და ქულათა მაქსიმუმი (4) აიღეს. ამჟერად სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: 29 მოგებით V ადგილზეა ტარტუს უნივერსიტეტის სპორტკლუბის გუნდი, 28-28 მოგებით VI-VII ადგილებს იყოფენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და რიგის ტტტ-ს კალათბურთელები. 25 გამარჯვება აქვს გორკის „შრომითი რეზერვების“ გუნდს და VIII ადგილზე იმყოფება. მას ერთი ქულით ჩამორჩება პენზის „სპარტაკი“. X ადგილზეა როსტოვის „კრასნი აქსაი“ (23 მოგება). შემდეგ მოდიან შესაბამისად სიმფეროპოლის „სპარტაკი“ (22) და ფრუნზეს „სტროიტელი“ (20). პირველმა სამმა კოლექტივმა უკვე შეინარჩუნა მომავალ სეზონში პირველ ლიგაში თამაშის უფლება. მართალია, ფინიშის სწორზე რვავე გუნდს კიდევ 3-3 შეხვედრა დარჩა ჩასატარებელი, მაგრამ IX-XII ადგილებზე მყოფთაგან პირველ სამეულს რომ ვინმე დაეწიოს, თეორიული შანსიც არ არის. მეთხე ვაკანტური ადგილისთვის ერთდროულად ოთხი კოლექტივი იბრძვის. ფრუნზეს „სტროიტელი“ კი იმათთან ერთად, რომლებიც ბოლო ტურნირის შემდეგ IX-XII ადგილებზე გავლენ, ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად გადასასვლელ მატჩებში გამარჯვებულ ერთ-ერთ კოლექტივთან ითამაშებს. რაც შეეხება ბოლო ტურნირებს, ისინი 3-5 ივნისს გაიმართება როსტოვსა და სიმფეროპოლში. სპი-ს კალათბურთელები როსტოვში გამოვლენ და თითო შეხვედრას გამართავენ „სტროიტელთან“, „კრასნი აქსაისთან“ და პენზის „სპარტაკთან“.

თბილისის ტურნირის დამთავრების შემდეგ საქართველოს გუნდის უფროს მწვრთნელს გარი არუთინოვს ვესაუბრეთ:

— პირველი ლიგის რვა საუკეთესოთა შორის ადგილის შენარჩუნებაში ეჭვი არ გვეპარებოდა, — გვითხრა მან. — მიუხედავად ამისა, თბილისისა და ტარტუს ტურნირების დამთავრებას მაინც მოუთმენლად ველოდით. საქმე ის გახლავთ, რომ ივნისის ბოლოს დონეცკში საკავშირო IV ახალგაზრდული თამაშები იწყება. ახლა, როცა მთავარი ამოცანა გადავწყვიტეთ, ბოლო ტურნირში ახალგაზრდული შემადგენლობით ვიასპარეზებთ და კიდევ ერთხელ შევამოწმებთ ჩვენი გოგონების მომზადების დონეს თანატოლებთან პასუხსაგები შეხვედრების წინ.

**ვაჟა დანელია.**

# 35-ე სკოლა საერთაშორისო ასპარეზზე

**თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებს ხშირად იწვევენ ჩვენს ქვეყანაში გამართულ სხვადასხვა პასუხსაგებ ასპარეზობებზე, ამ დღეებში კი მათ პირველად მიიღეს მონაწილეობა უნგრეთში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში. ბიჭებს არც აქ შეურცხვენიათ თავი.**

— ამ ტურნირისთვის გუნდი დიდი ხანია ემზადებოდა, — გვითხრა სკოლის დირექტორის მოადგილემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ზურაბ მაისურაძემ. ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის (გამგე ა. ჰკუასელი) თაოსნობით ჩამოყალიბდა ორი ასაკობრივი ექსპერიმენტული ჯგუფი, რომელშიაც გაერთიანდნენ 1979-80 და 1980-81 წლებში დაბადებული ჭაბუკები.

დიდი დახმარება გაგვიწია რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. გუკასიანმა. სწორედ ის და ჩვენს რესპუბლიკაში მივლინებული უნგრელი ფეხბურთის სპეციალისტი ა. ვიგხრი ეწეოდნენ სასელექციო მუშაობას და არჩევდნენ უნგრეთში გასამგზავრებელ კანდიდატებს. ჩვენმა ფეხბურთელებმა ამ წარმომადგენლობით საინტერესო ასპარეზობაში პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს, რაც უთუოდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

ორივე ასაკობრივი ჯგუფების ტურნირი ბუდაპეშტში მიმდინარეობდა. მასპინძლებმა საუკეთესო პირობები შეუქმნეს მოასპარეზე კოლექტივებს: ორგანიზატორებს ცდა არ დაუკლიათ, სტუმრებს რომ სრული წარმოდგენა შექმნოდათ ამ უძველესი ქალაქის ისტორიაზე, კულტურაზე და ყოფა-ცხოვრებაზე. ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს გააჩნიათ რამდენიმე ბალახისსაფარიანი და წიდისსაფარიანი მოედნები, რომლებზეც ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ლიგის არცერთი კოლექტივი არ იტყოდა უარს.

ახლა რაც შეეხება უშუალოდ ტურნირს. მასში ჩვენი სკოლის ფეხბურთელთა გარდა მონაწილეობდნენ იტალიის, იუგოსლავიის და უნგრეთის საფეხბურთო სკოლების წარმომადგენლები. ეს უკანასკნელნი ასპარეზობაზე ოთხი სხვადასხვა სკოლით იყვნენ წარმოდგენილნი. 1979-80 წლებში დაბადებულთა შეჯიბრებაში ჩვენმა ფეხბურთელებმა ყველა შეხვედრა საუკეთესოდ ჩაატარეს, ქვეჯგუფში თანმიმდევრულად დაამარცხეს უნგრეთის კლუბები „ფერენცვაროში“ 5:2, „დოჟა უიპეშტი“ — 9:0 და „ჰონვედი“ — 4:1, ფინალურ მატჩში კი მეორე ქვეჯგუფიდან გამარჯვებულ იუგოსლავიის „სუბოტიცას“ შეხვდნენ და დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს — 7:0. სხვადასხვა ჯილდოებთან ერთად, რომლებიც ჩვენმა გუნდმა მოიპოვა, დაწესებული იყო პრიზი საუკეთესო მოთამაშისთვის, რომელიც თბილისელ ს. კვარაცხელიას ხვდა წილად. მასვე სამახსოვრო საჩუქრად გადასცეს იაპონური ფირმის მაგნიტოფონი „ტოშიბა“. (გამარჯვებული გუნდის მწვრთნელია გ. მაისურაძე).

1980-81 წლებში დაბადებულთა ასპარეზობაზე ჩვენმა გუნდმა დაამარცხა „ფერენცვაროში“ — 3:0, „დოჟა უიპეშტი“ — 5:1, და ჰონვედი“ — 3:1, დაიკავა პირველი ადგილი და ფინალში დაძაბულ ბრძოლაში უნგრეთის ბ. ვ. ც. გუნდთან წააგო — 2:1. ჩვენმა გუნდმა ასპარეზობაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა (ამ ასაკობრივ ჯგუფს წვრთნიდნენ უნგრელი სპეციალისტი ა. ვიგხრი და ო. შენგელია).

ტურნირი უნგრეთში საინტერესოდ ჩატარდა, კმაყოფილი ვართ შედეგითაც. ნორჩ ფეხბურთელთათვის მსგავს ასპარეზობაში მონაწილეობას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. სწორედ ანალოგიურ შეჯიბრებებში მონაწილეობა მისცემს მათ საშუალებას ჩამოყალიბდნენ ტყავის ბურთის ოსტატებად. დასასრულ, მადლობას ვუხდით თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, ფეხბურთის კათედრას, რომელმაც მზადების პერიოდში ყველანაირი პირობა შეგვიქმნა წარმატებით ასპარეზობისთვის.

**საუბარი ჩაიწერა ზაზა კახაძემ.**

საქართველოს ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში

# ახლა კრასნოიარსკი

**წლების** მანძილზე რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარებულ მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ყველა დიდ შეჯიბრებაზე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს, როგორც წესი, დედაქალაქელი სპორტსმენები იკავებდნენ. ასე იყო ამჯერადაც ბათუმში, სადაც მრავალჭიდსა და ცალკეულ საგნებში საქართველოს ჩემპიონობას 41 მონაწილე ეცილებოდა ერთმანეთს, მათ შორის იყვნენ კიეველი, კალინინგრადელი, როსტოველი, სტავროპოლელი და ჟუკოვსკელი გოგონები.

ბათუმში სასპარეზოდ ვერ ჩავიდნენ თინათინ ნადირაშვილი და ბელა ქილიაევა (ორივე საკავშირო შეკრებაზე იმყოფებოდა). ინგა ჩხაიძე, ეკა ცხადაძე და ოქსანა როდიონოვა (სამივეს ტრავმა ჰქონდა), ხოლო ნატალია ტატიშვილი პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ შეიარაღებული ძალების გუნდის შემადგენლობაში საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრა. მიუხედავად ამისა, ჯილდოებისთვის ბრძოლა იოლი არ ყოფილა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ რგოლით, გურზებითა და ლენტით ასპარეზობისას ოქროს მედლების ბედი 0,05 ქულამ გადაწყვიტა, ხოლო უსაგნოდ ვარჯიშში — მრავალჭიდში დაკავებულმა უფრო მაღალმა ადგილმა, რადგან აქ ორმა მონაწილემ ერთნაირი შედეგი აჩვენა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მრავალჭიდში ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძირითადად საქართველოს ნაკრების წევრებს — ნატო ლეშკაშელსა და ელისო ბედოშვილს შორის წარიმართა. მცირე უპირატესობით იმარჯვა ლეშკაშელმა და საქართველოს ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლა. ბედოშვილი მას 0,45 ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილზე გავიდა რუსთაველი ტანმოვარჯიშე ოლგა ულერშპერგერი. რაც შეეხება ცალკეულ საგნებში ასპარეზობას, აქ თავი გამოიჩინა ელისო ბედოშვილმა. მან 4 ოქროს, ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ნატო ლეშკაშელს ორი „ოქრო“, ორი „ვერცხლი“ და ერთი „ბრინჯაო“ ერგო. კარგად იასპარეზა კიდევ ერთმა თბილისელმა სპორტსმენმა ვერა ყიფიანმა, მან ერთი მეორე და მესამე ადგილი დაიკავა.

საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში ჩაერივნენ რუსთაველი ტანმოვარჯიშეებიც. ოლგა ულერშპერგერი მრავალჭიდში მესამე იყო, ხოლო ბურთით ასპარეზობაში — მეორე. ელადა კოზმოვამ თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მიიღო ცალკეული საგნებით ვარჯიშში. დანარჩენმა მონაწილეებმა, მათ შორის სტუმრებმაც, სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ჩემპიონებსა და პრიზიორებს.

კონკურენციის გარეშე რესპუბლიკის ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში გახდა თბილისის I ნაკრები (ნატო ლეშკაშელი, ელისო ბედოშვილი, ვერა ყიფიანი, ნატალია ტატიშვილი, ეკა მეიშვილი, ხათუნა კინწურაშვილი), რომელმაც 273,95 ქულა მოაგროვა. მან 19,1 ქულით გაუსწრო ვერცხლის პრიზიორს — თბილისის II ნაკრებს. საგრძნობი წინსვლა ეტყობოდათ აჭარელ ტანმოვარჯიშეებს. ამას მოწმობს მათ მიერ მოპოვებული ბრინჯაოს მედლები. უჩვეულოდ გამოიყურება რუსთაველთა გუნდის მიერ დაკავებული მე-5 ადგილი. საქმე ის გახლავთ, რომ ისინი არასრული შემადგენლობით გამოდიოდნენ ო. როდიონოვას ავადმყოფობის გამო. სამწუხაროდ, შეჯიბრებაში წლეულსაც არ მონაწილეობდნენ ქუთაისელი ტანმოვარჯიშეები.

ამჟამად საქართველოს ნაკრების წევრები ემზადებიან საკავშირო ჩემპიონატისთვის, რომელიც 3-9 ივნისს კრასნოიარსკში გაიმართება.

„ლელოს“ კორ.

**ტექნიკური შედეგები:**

**მრავალჭიდი.** 1. ნატო ლეშკაშელი — 38,35, 2. ელისო ბედოშვილი — 37,9, 3. ოლგა ულერშპერგერი — 36,55.

**უსაგნოდ.** 1. ბედოშვილი — 9,55, 2, ელადა კოზმოვა — 9,55, 3. ლეშკაშელი — 9,45.

**სახტუნელა.** 1. ლეშკაშელი — 9,7, 2. ბედოშვილი — 9,6, 3. ყიფიანი — 9,4

**ბურთი.** 1. ბედოშვილი — 9,65, 2.. ულერშპერგერი — 9,4, 3. კოზმოვა — 9,4.

**გურზები.** 1. ბედოშვილი —9,65, 2. ლეშკაშელი — 9,6, 3. ყიფიანი — 9,35.

**ლენტი.** 1. ლეშკაშელი — 9,4, 2. ყიფიანი — 9,35, 3. ბედოშვილი — 9,05.

**რგოლი.** 1. ბედოშვილი — 9,65, 2. ლეშკაშელი — 9,6, 3. ყიფიანი — 9,4.

**საერთო გუნდური:** 1. თბილისი I —273,95, 2. თბილისი II — 254,85, 3. აჭარა — 252,2.

საუკუნის სპორტის ვარსკვლავები

**მისი** ნამდვილი სახელია უილიამი, მაგრამ სპორტულ სამყაროში ყველა იცნობს, როგორც ბილ რასელს. დაიბადა 1934 წლის 12 თებერვალს ლუიზიანას შტატის ქალაქ მონროუში, მაგრამ სულ მალე ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა კალიფორნიაში. კალათბურთის თამაში ბილმა მაკლამონდის კოლეჯში დაიწყო, მაგრამ ორმეტრიანი, მოუქნელი გიგანტი თავდაპირველად მეტ დროს სათადარიგო სკამზე ატარებდა. და მაინც, ვარჯიშობდა ყველაზე ბევრს, ყველაზე გულმოდგინედ, გატაცებით. საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ ბოლოს და ბოლოს ნაყოფი გამოიღო. ბილ რასელი ერთ მშვენიერ დღეს სკოლო კალათბურთის ვარსკვლავთა ნაკრებში მიიწვიეს. ასეთი პატივი მანამდე მაკლამონდის სასწავლებლის არცერთ კალათბურთელს არ ღირსებია.

ცხრამეტი წლისამ სწავლა სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტში განაგრძო, მაშინ მისი სიმაღლე იყო 207 სანტიმეტრი, წონა — 98 კილოგრამი. უნივერსიტეტის გუნდში გამოვლინდა მისი, როგორც უბადლო ცენტრალური მცველის ნიჭი. რასელის გუნდმა აშშ-ს საუნივერსიტეტო პირველობა ადვილად მოიგო, რაშიც ყველაზე დიდი წვლილი შავკანიანმა გიგანტმა შეიტანა.

იმავე 1956 წელს იგი ოლიმპიურ ნაკრებში მიიწვიეს. მელბურნის ოლიმპიადაზე გუნდმა, რომლის სულის ჩამდგმელი რასელი გახლდათ, ოქროს მედლები დაიმსახურა. შინ დაბრუნებულ რასელს ახალი, სასიამოვნო სიურპრიზი ელოდა „ბოსტონ სელტიკსის“ პროფესიულ კლუბთან საკმაოდ სარფიანი კონტრაქტი. ბოსტონელები, რომლებიც მანამდე არასდროს ყოფილან ნბა-ს ჩემპიონები, რასელზე გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ და ამიტომაც უყოყმანოდ შეაძლიეს მას დიდი თანხა. მწვრთნელის არჩევანი სწორი გამოდგა. „ბოსტონ სელტიკსი“ პირველსავე სეზონში ლიგის ჩემპიონი გახდა.

ასეთი თავბრუდამხვევი კარიერა, ალბათ, პროფესიული კალათბურთის არც ერთ სუპერვარსკვლავს არ გაუკეთებია. ერთ სეზონში სამი ბრწყინვალე გამარჯვება: სტუდენტთა კალათბურთში, ოლიმპიადაზე და ნბა-ს ჩემპიონატში. ბილ რასელის სახელი გამარჯვების სინონიმად იქცა. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ „ბოსტონ სელტიკსმა“ ბილ რასელთან ერთად ცამეტი სეზონის განმავლობაში თერთმეტჯერ მოიპოვა უძლიერესი კლუბის სახელი.



# ბილ რასელი

რასელი თავისებური ლეგენდა, ახალი ეტაპის სუპერვარსკვლავი გახდა. ცენტრალური მცველი, რომელიც ყოველ მატჩს საშუალოდ 25,1 ქულით ამთავრებდა, პროფესიულ კალათბურთში ახალი სიტყვა იყო. მაგრამ რასელს „შეთავსებით“ გამთამაშებლის ფუნქციაც ჰქონდა დაკისრებული. ესეც გარკვეული სიახლე იყო — ორმეტრიანი გიგანტი გამთამაშებლის როლში. მაგრამ მისი მთავარი კოზირი, მაინც ფარის ქვეშ ბრძოლა გახლდათ, აქ იგი ტოლს თვით უილტონ ჩემბერლენსაც არ უდებდა.

„ბოსტონ სელტიკსის“ მწვრთნელმა რედ აუერბახმა ერთხელ განაცხადა: „რასელი იყო პირველი, ვინც ჩემბერლენის მიერ კალათში ნატყორცნი ასპროცენტიანი ბურთი მაღალ ნახტომში მოიგერია. რასელმა ამით პანიკა შეიტანა თანამედროვე კალათბურთში“.

„სელტიკს“ წინა ეშელონის ბრწყინვალე ოსტატები ჰყავდა: ჰეინსონი (202 სმ) და სანდერსი (203 სმ). მაგრამ მათში უდავოდ გამორჩეული იყო ტანმორჩილი ბობ კოუსი (183 სმ), რომელიც დღესაც, სავსებით სამართლიანად, პროფესიული კალათბურთის ყველა დროის ვირტუოზად მიაჩნიათ. სწორედ ამიტომ რასელს წინა ხაზზე საქმე არ ჰქონდა და იქ საგანგებო შემთხვევებში იკავებდა ადგილს. რასელს და მის პარტნიორს ბილ შერმანს (201 სმ) საკუთარი კალათის უსაფრთხოებისთვის უნდა ეზრუნათ და ამ ურთულეს ამოცანას ორივე წარმატებით ართმევდა თავს.

1959 წლის 7 ნოემბერს მოედანზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ბილ რასელი და უილტონ ჩემბერლენი. ეს მოხდა ბოსტონის სპორტის სასახლეში. თამაშის წინ ბოსტონელთა მწვრთნელმა რედ აუერბახმა ჟურნალისტებს განუცხადა: „ჩემბერლენი პროფესიული კალათბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი მოთამაშეა, რომელიც კი მინახავს. მაგრამ ჩვენ ყოველმხრივ შევეცდებით იგი უვნებელი გავხადოთ“. ჩემბერლენი მაშინ „ჰარლემიდან“ ახალი გამოსული იყო და „ფილადელფია უორიორზში“ გაუნკითხავი ავტორიტეტით სარგებლობდა. ჩემბერლენს ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ „ბოსტონის“ დაცვა მის „დაწოლას“ ვერ გაუძლებდა და გატყდებოდა.

მატჩი დაიწყო იმით, რომ რასელმა თავის მეტოქეს პირველი ბურთი აართვა, ზუსტად გადააწოდა გარღვევაზე გასულ კოუსის და ანგარიშიც გაიხსნა. ფილადელფიელთა კონტრშეტევას შედეგი არ გამოუღია. ჩემბერლენის ნატყორცნი ბურთი იმავ რასელმა მაღალ ნახტომში „დაატყვევა“.

პირველი ნახევრის შემდეგ ჩემბერლენის გუნდი ერთობ დაბნეული ჩანდა. შეხვედრას რომ 15 ქულით აგებდნენ, ეს კიდევ არაფერი. უფრო საგანგაშო იყო ის, რომ ჩემბერლენი მოედანზე აღარ ჩანდა (24 წუთში მხოლოდ 10 ქულა).

მეორე ნახევარში „ფილადელფიამ“ მდგომარეობა ნაწილობრივ გამოასწორა, მაგრამ დამარცხებით მაინც დამარცხდა — 106:115. ჩემბერლენმა გუნდს საბოლოოდ 30 ქულა შესძინა, რასელმა — 22, სამაგიეროდ რასელი ფარიდან ახლეტილ ბურთს 35-ჯერ დაეუფლა, ჩემბერლენი კი 26-ჯერ.

მათ პირად შეხვედრებში შეფარდება მუდამ ასეთი იყო. ჩემბერლენი უკეთ თამაშობდა თავდასხმაში, რასელი — დაცვაში. მაგრამ გუნდისთვის მეტი სარგებლობა რასელს მოჰქონდა.

თუმცა... „დიდ ბოსტონელს“ ერთი ნაკლიც ჰქონდა, რომელსაც წლების მანძილზე ვერაფრით დააღწია თავი. კალათში საშუალო და შორი მანძილიდან შესამჩნევად სუსტად ისროდა. სამაგიეროდ მთელ ლიგაში გამორჩეული იყო მისი ფანტასტიკური ნახტომი ყოვნით. სწორედ ამის გამო შეარქვეს მას „შავი პეპელა“. მაგრამ რასელს მეორე სახელიც ჰქონდა შერქმეული — „წვერებიანი არწივი“, რაც ხაზს უსვამდა მის ზღაპრულ ფიზიკურ ძალას.

რედ აუერბახის „სელტიკსიდან“ წასვლის შემდეგ ბილ რასელი მოთამაშე მწვრთნელი გახდა და აქაც გამოიჩინა თავი, როგორც კალათბურთის დიდმა მცოდნემ, კარგმა ტაქტიკოსმა და აღმზრდელმა.

• • •

**სურათზე:** 1986 წლის კეთილი ნების თამაშები მოსკოვში. ბილ რასელი და ქართული კალათბურთის ვეტერანი ლევან ფალავანდიშვილი.

# „დიდი მუზარადის“ მეორე ტურნირი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

**პარიზი.** როგორც ცნობილია, შარშან საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში ქალთა შორის დასავლეთგერმანელმა შტეფი გრაფმა მოიგო. მან წარმატებით დაიწყო წლევანდელი ტურნირიც, რომელიც „დიდი მუზარადის“ ერთ-ერთი პირველი შეჯიბრება გახლავთ. გრაფმა დაამარცხა ამერიკელი კამილა ბენჯამინი — 6:1, 6:1.

შეგახსენებთ, რომ შარშან გრაფმა დიდი მუზარადის ყველა ოთხივე ტურნირი (საფრანგეთის, ავსტრალიის, აშშ-ს ღია ჩემპიონატები და უიმბლდონი) მოიგო, წლეულს კი მას უკვე ერთი გამარჯვება აქვს ავსტრალიის ღია ჩემპიონატში. გრაფის ყველაზე ძლიერ კონკურენტად არგენტინელი გაბრიელა საბატინი ითვლება.

ვაჟებში სპეციალისტების აზრით გამარჯვების დიდი შანსი აქვს ჩეხოსლოვაკიელ ივან ლენდლს, რომელიც საფრანგეთის ღია პირველობის ჩემპიონი სამჯერ უკვე იყო. შარშან ამ ტურნირში, როგორც ცნობილია, მატს ვილანდერმა (შვეცია) გაიმარჯვა, მაგრამ წლეულს იგი შედარებით სუსტად თამაშობს და ამიტომაც მეოთხე ნომრად არის განთესილი. სპეციალისტებმა მეორე და მესამე ადგილებზე დააყენეს ბორის ბეკერი (გფრ) და სტეფან ედბერგი (შვეცია).

და კიდევ ერთი ინფორმაცია. ტურნირი, რომლის საპრემიო ფონდია 4,5 მილიონი დოლარი, 11 ივნისს დამთავრდება.

პირველ წრეში საბჭოთა ჩოგბურთელმა ანდრეი ჩერკასოვმა დასავლეთგერმანელ ტორე მეინეკეს აჯობა — 6:4, 6:2, 6:4.

## „სპორტპროგნოზი“

**22-ე ტირაჟის შედეგები (27-28 მაისი)**

1-1, 2-1, 3-X, 4-1, 5-2, 6-1, 7-1, 8-X, 9-X, 10-1, 11-1, 12-X, 13-2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

• • •

**24-ე ტირაჟის პროგრამა (10-11 ივნისი)**

**სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)**

**10 ივნისი.**

1. „დინამო“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი)
2. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „არარატი“ (ერევანი)

**სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბში (უმაღლესი ლიგა)**

**10 ივნისი.**

3. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)

**11 ივნისი.**

4. „ფილი“ (მოსკოვი) — „გაგარინის სახ. სსა (მონინო)
5. ასკ (ალმა-ათა) — „ავიატორი“ (კიევი)

**იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში**

**11 ივნისი.**

6. „რომა“ (რომი) — „ფიორენტინა“ (ფლორენცია)
7. „სამპდორია“ (გენუა) — „ვერონა“ (ვერონა)
8. „იუვენტუსი“ (ტურინი) — „ლაციო“ (რომი)
9. „ასკოლი“ (ასკოლი) — „ნაპოლი“ (ნეაპოლი)

**ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში.**

**11 ივნისი.**

10. „რეალი“ (სან-სებასტიანი) — „ვალენსია“ (ვალენსია)
11. „რეალი“ (მადრიდი) — „ესპანიოლი“ (ბარსელონა)
12. „ბარსელონა“ (ბარსელონა) — „ატლეტიკო“ (მადრიდი)
13. „მურსია (მურსია) — „სევილია“ (სევილია)

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-56, ხაზდევნი — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10375